ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №03-08/253

20 „ოქტომბერი" 2016 წელი

ქ. ქობულეთი

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა" (შემდგომში - შემსყიდველი), (ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. #154), მისი დირექტორის დავით მჭედლიშვილის მოვალეობის შემსრულებლის კახა ბოლქვაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს ,,ბათუმის წყალი'' ს/კ 245 556 679 წარმოდგენილი დირექტორის მ/შ თეიმურაზ ბედინაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელი – ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა "–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **საკუთარი სახსრებით** სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,ახალი ტალღა'' -ს საჭიროებისათვის დანართი №1-ით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვა მომსახურეობა (კოლეჯის ტერიტორიაზე სანიაღვრე მილების გაწმენდა) დანართი №1-ი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 375.00 (სამასსამოცდათხუთმეტ) ლარს,

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი მომსახურეობის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდებულ მომსახურეობაზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტისა წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ მომსახურეობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მომსახურეობის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების კომისია.

5.3 მოწოდებული მომსახურეობის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურეობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 მომსახურეობის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, მიწოდების ადგილია ქ. ქობულეთი რუსთაველის ქუჩა №154;

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის შესაბამისად.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული მომსახურეობის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის რაოდენობის და ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად მომსახურეობის მიწოდება.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურეობის მოწოდების ინსპექტირებას ახორციელებს საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ინსპექტირების კომისია.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული მომსახურეობს ხარისხის კონტროლს.

8.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების გაწზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში განახორციელოს წუნდებული მომსახურეობის ჩანაცვლება დამატებითი ანაზღაურების გარეშე. მომსახურეობა უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხარისხს რაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი,

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №154;

14.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22, საიდენტიფიკაციო კოდი 246954620;

14.3 „შემსყიდველი" – სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა".

15. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი:ქ.ბათუმი თაბუკაშვილის ქ.№19;

15.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი'',

ბანკის კოდი:BAGAGE22, ა/ა GE58BG 0000 000 264 853 901;

15.3 „მიმწოდებელი"–შპს ,,ბათუმის წყალი'' ს/კ 245 556 679, დირექტორის მ/შ თეიმურაზ ბედინაძე; 009 006;

„შემსყიდველი" - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა".

კოლეჯის დირექტორის მ/შ: კახა ზოლქვაძე

„მიმწოდებელი"-იდირექტორის მ/შ: თეიმურაზ ბედინაძე

დანართი 1

დასახელება (ხელსაწყო/აღჭურვილობა)	კოდი	განზომილება	შესაძენი რაოდენობა	ერთეულის მინიმალური ფასი	ჯამური თანხა	წყარო
სანიაღვრე მილების გაწმენდა	90470000	საათი	2.5	150	375	საკუთარი სახსრები
ჯამი					375.00	

შესმყიდველი
დირექტორის მოადგილე: კახა ბოლქვაძე

მიმწოდებელი:
დირექტორის მოვ. თეიმურაზ ბედინაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

20.10.2016 წელი

ქ. ქობულეთი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ, შპს ,,ბათუმის წყალთან'' ს/კ 245 556 679, 2016 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებული №03-08/253 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის

„ახალი ტალღა“ დირექტორის მ/შ: კახა ბოლქვაძე

ინსპექტირების კომისია:

- კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძე ----------
- თავმჯდომარის მოადგილე კახა ბოლქვაძე ----------
- კომისიის წევრი ჭაბუკი ვერულიძე ----------
- კომისიის წევრი მალვინა ჯიჯავაძე ----------
- კომისიის წევრი ნათია ტაკიძე ----------
- კომისიის წევრი ზაზა მეგრელიძე ----------
-
- კომისიის წევრი ნინა ბეჭვაია ----------
- კომისიის წევრი რომან მემარნე ----------
- კომისიის წევრი ბიჭიკო ჯინჭარაძე ----------